



სიძულვილის ენასთან
ბრძოლის სახელით
შეზღუდული გამოხატვის
თავისუფლება?!

Photo credit: Council of Europe

დავით ქუტიძე

ირინა გურგენაშვილი

თბილისი 2020

სარჩევი

შესავალი	1
რას ცვლის კომუნიკაციების კომისიის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო წინადადება	2
სიძულვილის ენა თუ დუზინფორმაცია?	4
გამოხატვის თავისუფლება VS სიძულვილის ენის რეგულირება	6
მედიის რეგულირების საფრთხეების ანალიზი	11
საქართველო - კანონპროექტის მიზანი, ევროდირექტივასთან შესაბამისობა და არსებული საფრთხეები.....	21
დასკვნა.....	27
გამოყენებული ლიტერატურა	29

შესავალი

2018 წლის დეკემბერში კომუნიკაციების კომისიამ საქართველოს პარლამენტში წარადგინა საკანონმდებლო წინადადება თანდართული კანონპროექტით „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.¹ კანონპროექტი მნიშვნელოვნად ცვლის არსებულ რეალობას, კერძოდ, ტელე და რადიო მაუწყებლობის თვითრეგულირების ზოგიერთი საყურადღებო ასპექტი რეგულირების ნაწილში გადაჰყავს. სფეროს ექსპერტთა ერთი ნაწილის შეხედულებით, ინიციატივა არა მედიის თვითრეგულირება ან თანარეგულირებაა, როგორც ამას კომუნიკაციების კომისია ამბობს, არამედ რეგულირების მცდელობა, რადგან კანონპროექტი თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კომისიაში ან სასამართლოში გასაჩივრებას ითვალისწინებს (გოგოსაშვილი 2020). ამასთან, მათი პოზიციით, თუ კომუნიკაციების კომისიას უნდა მიენიჭოს უფლება განიხილოს მედიისა და ჟურნალისტების მიმართ არსებული ცალკეული საჩივრები, კომისიისადმი საზოგადოების მხრიდან მაღალი ნდობა უნდა არსებობდეს, რაც რეალურად არ არის. ასევე, ამ საკითხზე არ არსებობს არც ის ფართო კონსენსუსი, რომელიც აუცილებელია მსგავსი ცვლილებისათვის (ანდლულაძე 2020).

კომუნიკაციების კომისიის მიერ ინიცირებული ცვლილებების ყველაზე სადავო ნაწილი სიძულვილის ენის დარეგულირების საკითხს შეეხება. იმ ფონზე, როცა სიძულვილის ენა სუბიექტური აღქმისა და შეფასების ნაწილია და შესაბამისად, არ არსებობს აღიარებული დეფინიცია, მისი რეგულირება საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველია. ნაცვლად კეთილი მიზნების განხორციელებისა, არსებობს რისკი მივიღოთ გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვა, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს ჟურნალისტების/მედიის თვითცენზურამდე და ხელისუფლების მხრიდან კრიტიკული მედიის ფუნქციონირების შეზღუდვამდე.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, კომუნიკაციების კომისიის მიერ ინიცირებული ცვლილებების კონკრეტული მუხლების ანალიზს, მისი შესაძლო დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენას, ხოლო მეორე მხრივ, სხვა ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვას, იმ მიზნით, რომ გათვალისწინებულ იქნას სხვა სახელმწიფოების პოზიტიური თუ ნეგატიური გამოცდილება. აღნიშნული დაინტერესებულ პირებს მისცემს

¹ კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/210867?fbclid=IwAR225RwEmWZcbHP6y0TaJHtZnqrDcbVIYk343Bo3yAbrubL3l23obDGVV0o>.

საშუალებას ერთ დოკუმენტში გაეცნონ, როგორც საკითხის გარშემო არსებულ თეორიულ დისკურსს, ისე პრაქტიკულ მაგალითებს.

რას ცვლის კომუნიკაციების კომისიის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო წინადადება

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, მოქმედი კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ მნიშვნელოვნად იცვლება,² რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ტელე და რადიო მაუწყებლობის თვითრეგულირების გარკვეული ასპექტების რეგულირების ნაწილში გადასვლით და ამა თუ იმ სადავო საკითხში კომუნიკაციის ეროვნული კომისიის და სასამართლოს ჩარევით გამოიხატება. „მაუწყებლობის შესახებ“ მოქმედი კანონის მე-14 მუხლი დაინტერესებულ პირს³ აძლევს უფლებას მიმართოს კომისიას ან სასამართლოს, თუ თვლის, რომ დაირღვა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ან სალიცენზიო პირობები. თუმცა, აქვე, აღნიშნული მუხლი უშვებს გამონაკლისებს (52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლები), როცა დარღვევის გასაჩივრება არ შეიძლება კომისიაში ან სასამართლოში და ის მხოლოდ მაუწყებელში შექმნილმა თვითრეგულირების ორგანომ უნდა გადაწყვიტოს.⁴

52-ე მუხლი ეხება მაუწყებლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს, მცდარი ინფორმაციის უარყოფას და შესწორებას; **54-ე მუხლი** - ფაქტების სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქების ვალდებულებას; **56-ე მუხლი** - ომის პროპაგანდის აკრძალვას, ამასთან, იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. ასევე, იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა

² მიღების შემთხვევაში, მათ შორის, შეიცვლება კანონის სახელწოდება შემდეგი რედაქციით:

„აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის შესახებ“.

³ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის, მე-2 მუხლის, ე ქვეპუნქტის მიხედვით, დაინტერესებული პირი არის – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა.

⁴ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის, მე-2 პუნქტი: „მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა, აგრეთვე სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს კომისიას ან სასამართლოს“.

თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას და ა.შ.⁵ **59-ე მუხლი** კი ეხება საზოგადოებრივ მაუწყებლობას და ასეთი მაუწყებლების ვალდებულებებს.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, თვითრეგულირებაში რჩება და კომისიასა თუ სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება 52-ე, 54-ე და 59-ე მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტები. თუმცა, **თვითრეგულირების სფეროდან გადის და რეგულირების სფეროში ექცევა 56-ე მუხლი.**

კანონპროექტის თანახმად, 56-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 1. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების ამკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. ასევე, იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას. 2. იკრძალება ადამიანის და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამების განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას. გარდა ამისა, 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: 1. იკრძალება ნებისმიერი სახით ომის პროპაგანდა; 2. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების ამკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის.

რაც შეეხება სანქციებს, კომისია ვალდებული იქნება, კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განიხილოს შესაბამისი საკითხი და მაუწყებლის მიერ დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, წერილობით გააფრთხილოს. კომისია აუდიოვიზუალური მომსახურების მიმწოდებელს ან/და რადიომაუწყებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის აღმოფხვრისათვის ან პრევენციისთვის. ამასთან, კომისია ვალდებულია დააჯარიმოს მაუწყებელი თუ მან არ გაითვალისწინა წერილობითი

⁵ იხ. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლი [სრულად](#).

გაფრთხილება. პირველად დაჯარიმების შემდეგ, თუ დარღვევა გაგრძელდა, ან ერთ წელში ახალი დარღვევა დაფიქსირდა, მაუწყებელი თანხის ორმაგი ოდენობით დაჯარიმდება, ან დაიწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის/ავტორიზაციის შესაჩერებლად. მეორედ დაჯარიმების შემდეგ ჯარიმა ისევ ორმაგდება ან იწყება ლიცენზიის/ავტორიზაციის შეჩერება.

სიძულვილის ენა თუ დეზინფორმაცია?

საქართველოში სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური მოვლენის სწრაფად განვითარების ფონზე, კომუნიკაციების კომისიის განუხილველი წინადადება საზოგადოებაში თითქმის დავიწყებული იყო, მანამდე, ვიდრე 2019 წლის დეკემბერში სოციალურმა ქსელმა Facebook-მა ანგარიში⁶ გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ მან თავისი პლატფორმიდან 39 პროფილი, 344 გვერდი, 13 ჯგუფი და 22 ინსტაგრამის ანგარიში გააუქმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ „კოორდინირებულ არაავთენტურ ქცევაში“.⁷ გაუქმებული ანგარიშების მიერ წარმოებული კამპანიის მთავარი სამიზნე საქართველოს შიდა აუდიტორია იყო, ისინი პოზიციონირებდნენ როგორც ახალი ამბების სააგენტოები და იმიტირებდნენ პოლიტიკურ პარტიებს, საჯარო პირებსა და მედიასაშუალებებს. გვერდების ადმინისტრატორები და ანგარიშების მფლობელები, ძირითადად, ადგილობრივ ახალ ამბებსა და პოლიტიკურ საკითხებზე აქვეყნებდნენ ინფორმაციას, მაგალითად, როგორიც არის არჩევნები, სამთავრობო პოლიტიკა, მაღალჩინოსნები, ოპოზიციისა და ადგილობრივი აქტივისტური ჯგუფების კრიტიკა. გაუქმებული გვერდები, ჯგუფები და ანგარიშები, Facebook-ის ადმინისტრაციის განმარტებით, მოქმედებდნენ კოორდინირებულად, ამასთან კავშირში იყვნენ სარეკლამო სააგენტო „პანდასთან“ და საქართველოს მთავრობასთან.

⁶Facebook. 2019. Removing Coordinated Inauthentic Behavior From Georgia, Vietnam and the US. Via URL: <https://about.fb.com/news/2019/12/removing-coordinated-inauthentic-behavior-from-georgia-vietnam-and-the-us/>.

⁷კოორდინირებულ და არაავთენტურ ქცევას Facebook განმარტავს როგორც აქტივობას, რომლის დროსაც ჯგუფები, გვერდები ან პერსონალური ანგარიშები მუშაობენ ერთობლივად იმისთვის, რომ დაფარონ თავიანთი ვინაობა, სოციალურ ქსელში აქტიურობის რეალური მიზნები და ამ გზით შეცდომაში შეიყვანონ აუდიტორია. აქვე აღსანიშნავია, რომ Facebook არაავთენტური ქცევის გამოვლენის შემთხვევაში ჯგუფებს, გვერდებსა თუ პროფილებს აუქმებს არა მათ მიერ გავრცელებული შინაარსის გამო, არამედ მათი შეცდომაში შემყვანი კოორდინირებული ქმედებებისთვის. დამატებით იხ. <https://about.fb.com/news/2018/12/inside-feed-coordinated-inauthentic-behavior/>

სოციალური ქსელის ამ ანგარიშს საზოგადოებაში შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა Facebook-ის განცხადებაში მოცემულ ფაქტებთან მთავრობის შემხებლობა უარყვეს.⁸ ამასთან, აღნიშნეს, რომ, ზოგადად, დეზინფორმაცია როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის, ისე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მას ხშირად ოპოზიცია იყენებს და მხოლოდ სოციალურ ქსელებში არ გვხვდება. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ Facebook-მა ზემოაღნიშნული გვერდები არა მათ მიერ გავრცელებული პოსტების შინაარსის, არამედ არაავთენტური და კოორდინირებული ქცევის გამო გააუქმა, ხელისუფლებაში აღნიშნული საკითხი სწორედ საინფორმაციო არხებით გავრცელებული ამბების შინაარსს დაუკავშირეს. მმართველი გუნდის წარმომადგენლების განაცხადებით,⁹ დეზინფორმაცია ქართული ტელეარხებითაც ხშირად ვრცელდება და ამის საპასუხოდ, პარლამენტში მსჯელობა გაგრძელდება კომუნიკაციების კომისიის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე, რომელიც დეზინფორმაციის გავრცელებას ხელს შეუშლის. როგორც განცხადებიდან ჩანს, კანონპროექტი საქართველოს ხელისუფლებისთვის, მათ შორის, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად განიხილება და შესაბამისად, ისმება კითხვები: რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს კანონპროექტს Facebook-ის მიერ ანგარიშების გაუქმებასთან და რატომ განიხილავს მას მთავრობა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად?

ვიდრე უშუალოდ ამ კითხვებზე შესაძლო პასუხებს განვიხილავთ, აუცილებელია ვიმსჯელოთ გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენის რეგულირების საკითხს შორის არსებულ ზღვარზე, რადგან სწორედ ეს თემა უდევს საფუძვლად მედიის რეგულირების ნებისმიერ მცდელობას. გარდა ამისა, აუცილებელია შევხვით მედიის თვითრეგულირებასა და რეგულირებას შორის სახელმწიფოთა არჩევანს, რათა უფრო ნათელი გახდეს, რა სისტემა გვაქვს საქართველოში და კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, რა მოდელს მივიღებთ.

⁸ Civil.ge. 2019. Facebook-ის მიერ ხელისუფლებასთან დაკავშირებული გვერდების წაშლას პოლიტიკოსები ეხმაურებიან. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/332619> (15. 02. 2020).

⁹ ირაკლი კობახიძე. 2019. განცხადება დეზინფორმაციის გავრცელებაზე. ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/162233-kobaxidze-dezinformaciis-gavrcelebaze-parlamentshi-kanoni-gvaqvs-inicirebuli> (23. 03. 2020).

გამოხატვის თავისუფლება VS სიძულვილის ენის რეგულირება

სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის? რა ეტაპზე გადაიქცევა ხოლმე ადამიანის სიტყვის თავისუფლება სხვათა მიმართ დისკრიმინაციის და შუღლის გაღვივების იარაღად? - ამ საკითხზე დებატებს დიდი ისტორია აქვს და მრავალ ურთიერთსაპირისპირო პოზიციას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ როდესაც ვმსჯელობთ მედიის თვითრეგულირებასა და რეგულირებას შორის არჩევანზე, სწორედ, გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის წახალისებას შორის არსებულ ბუნდოვან ზღვარზე დავდივართ (Goodman 2006). გამოხატვის თავისუფლება საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ღირებულება და მისი განვითარების, ასევე, თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის აუცილებელი საფუძველია (მენდელი 2012). პირველ რიგში იმიტომ, რომ ნებისმიერი ადამიანის სურვილი და ლტოლვაა გადმოსცეს საკუთარი გრძნობები და შეგრძნებები, როგორც ვერბალური, ისე არავერბალური საშუალებებით და სამყაროს გაუზიაროს მისი პიროვნების საყურადღებო ელემენტები. მეორე და მნიშვნელოვანი, რასაც გამოხატვის თავისუფლება საკუთარ თავში აერთიანებს, ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების დაცვაა. გამოხატვის თავისუფლების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ორგანიზება, ინფორმაციის გავრცელება, განგაშის ატეხვა, მობილიზება იმ შემთხვევაში, თუ ძირეულ უფლებებს საფრთხე შეექმნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტია. მესამე მნიშვნელოვანი ასპექტი, რასაც გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას შეეხება, რადგან ეს უკანასკნელი შეუძლებელი იქნებოდა ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციის გარეშე. ზუსტად ამ მიზეზებით, გამოხატვის თავისუფლება აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებად და განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივი აქტით: „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ (მე-19 მუხლი), „საერთაშორისო პაქტით - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (მე-19 მუხლი), „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით“ (მე-10 მუხლი), საერთაშორისო კონვენციით „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 1-ლი შესწორებით და „ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციით“ (მე-13 მუხლი), „ადამიანისა და ხალხებთა უფლებების აფრიკული ქარტიით“ (მე-9 მუხლი) და ა.შ. (Puddephatt 2011). საქართველოში გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციის მე-17 მუხლით არის გარანტირებული, რომელშიც ნათქვამია, რომ „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის ღირსა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მასობრივი

ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია...“. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო დოკუმენტები, რომელთა ხელშემაკრელიც, ფაქტობრივად, თითქმის ყველა სახელმწიფოა და რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით, გვთავაზობენ გამოხატვის თავისუფლების ერთიან სამართლებრივ ჩარჩოს, ქვეყნების მიხედვით მაინც განსხვავდება მისი რეგულირების მექანიზმები. მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც გამოხატვის თავისუფლება შემხებლობაშია სიძულვილის ენასთან (Bell 2005).

როგორც უკვე აღინიშნა, სიძულვილის ენის ერთიანი აღიარებული დეფინიცია არ არსებობს და საერთაშორისოდ მისი მხოლოდ მინიმალური მსაზღვრელება შემოთავაზებული. მაგალითისთვის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის თითქმის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აღვივებს, ხელს უწყობს ან/და ამართლებს რასობრივ, ქსენოფობიურ, ანტისემიტურ ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული შუღლის გაღვივების სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით (GDI 2014). სიძულვილის ენაზე მსჯელობისას, სხვადასხვა ავტორი განსხვავებულ განსაზღვრებას გვთავაზობს, თუმცა თითოეული მათგანი იყენებს ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის ძირითად ჩარჩოს და სიძულვილის ენას ახასიათებს, როგორც მიზანმიმართულ ვერბალურ ან/და არავერბალურ შეტევას ადამიანზე ან მათ ერთობაზე, რასობრივი, ეთნიკური, გენდერული, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის და სხვა განმასხვავებელი ნიშნების გამო (Seglow 2016).

როგორც სიძულვილის ენის ერთიანი აღიარებული და ყველა ქეისზე მორგებული დეფინიცია არ არსებობს, ისე არ არსებობს მისი რეგულირების ერთიანი მიდგომა და სამართლებრივი სტანდარტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულად რეგულირდება. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია გამოვყოთ პირობითად ორი მიდგომა - ევროპული და ამერიკული. ევროპული მიდგომით სიძულვილის ენა კრიმინალიზებულია (ევროპის ქვეყნების გარკვეულ ნაწილში) გამოხატვის თავისუფლების მეტად შეზღუდვის ხარჯზე, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში სიძულვილის ენა არ არის კრიმინალიზებული და უპირატესობა გამოხატვის თავისუფლებას ენიჭება (GDI 2014). ამერიკულ მიდგომაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად მიიჩნევა მინესოტას ქეისი, რომელშიც ცალსახად და ხმამაღლა იქნა აღიარებული გამოხატვის თავისუფლების უპირატესობა სიძულვილის ენის რეგულირებასთან მიმართებით. 1992 წელს მინესოტაში, თინეიჯერებმა დაწვეს ჯვარი აფრო-ამერიკელი ოჯახის გაზონზე, რათა ეჩვენებინათ მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება და სიძულვილი. შესაბამისი ინსტანციების გავლის შემდგომ,

აღნიშნული საქმე აშშ-ს უზენაეს სასამართლოში განიხილეს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ანტონინ სკალიას განმარტებით, მსგავსი ქმედების სახელმწიფოს მიერ რომელიმე კანონით შეზღუდვა ვერ იქნებოდა გამართლებული, რადგან ის დაარღვევდა გამოხატვის თავისუფლებას. მისი მოსაზრებით, მიუხედავად მკვეთრად გამოხატული სიძულვილის შემცველი ქცევისა, თინეიჯერები ამ ოჯახს არ დამუქრებიან და არც ფიზიკური ზიანი მიუყენებიათ. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ ჩარევა ამ შემთხვევაში იქნებოდა გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა, რადგან მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს გამართლებულად მიაჩნია თუ-არა მსგავსი გამოხატვა, თავად ამ გამოხატვის შინაარსის სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვა ვერ იქნებოდა გამართლებული (Shehadeh 2019). როგორც ვხედავთ, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტი და გამოხატვის თავისუფლებას ფართო განმარტების საშუალება დაუტოვა, შესაბამისად, ძლიერი მექანიზმით დაიცვა ის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიძულვილის ენისადმი ეს ლიბერალური მიდგომა კრიტიკის საგანი გახდა, ავტორების ერთი ნაწილისთვის ამერიკული სამართალი არ ითვალისწინებს ისტორიულ გამოცდილებას, ე.წ. ისტორიულ უთანასწორობას და მსგავსი მიდგომით ზიანს აყენებს იმ ჯგუფებს რომლებიც მიზანმიმართულ ძალადობას განიცდიან და ამ ძალადობის მიმართ მოწყვლადნი არიან. მაგალითად, ჯერემი ვალდრონი აღნიშნავს, რომ სტანდარტები, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, არ ითვალისწინებს, რომ გარკვეული ჯგუფების მიმართ განხორციელებული ძალადობა, საბოლოო ჯამში, ამ ჯგუფებში დაუცველობის შეგრძნებას აძლიერებს და გარკვეულწილად განაპირობებს ამ ჯგუფების უარს საჯარო სიკეთეებსა და საჯარო სფეროებში მონაწილეობაზე (Waldron 2012).

„თუ ვინმეს სურს ძირი გამოუთხაროს ერის თავისუფლებას, უნდა დაიწყოს თავისუფალი სიტყვის დამორჩილებიდან“ - ბენჯამინ ფრანკლინის ეს სიტყვები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს იმ ავტორებში, რომელთაც უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ გამოხატვის თავისუფლება და არ მოსწონთ სიძულვილის ენის რეგულირება მისი შემოჭრის თავისებების გამო. ისინი თვლიან, რომ ევროპული სისტემა, რომელსაც ევროპული დემოკრატიები უკანასკნელ პერიოდში ეყრდნობიან არის „თავისუფალი სიტყვის თავისუფალი ვარდნა“. ამის ნათელ მაგალითად კი დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და გერმანიას მიიჩნევენ, სადაც სისტემურ ხასიათს ატარებს მოქალაქეთა დაჯარიმება ამა თუ იმ გაერთიანების „შეურაცხყოფის“ გამო. მათი მოსაზრებით, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვით ვერ მიიღწევა

მიზანი, რომ სიძულვილის ენა მინიმალიზებული იყოს და ნეო-ნაციონალური ჯგუფების მრავალათასიანი მანიფესტაციები აღარ იმართებოდეს, პირიქით, ამ პირობებში იზრდება მოქალაქეების თავისუფლება. მაგალითად, Die Welt-ის 2019 წლის გამოკითხვის მიხედვით, გერმანელთა, მხოლოდ, 18%-ს შეუძლია თავისი აზრების საჯაროდ გამოხატვა, მაშინ, როდესაც მათი 59% დარწმუნებული არ არის, სწორი იქნება თუ-არა აზრის საჯაროდ გამოხატვა (Die Welt 2019). აღნიშნული შედეგი შესაძლოა მიუთითებდეს სიძულვილის ენის ამკრძალავი კანონების ეფექტს, რადგან ისინი ისეა ფორმულირებული, რომ დარწმუნებული ვერ იქნები, აზრის გამოხატვისას ჩადიხარ თუ-არა სისხლის სამართლის დანაშაულს (Turley 2019). იმ ქვეყნების მაგალითზე, სადაც სიძულვილის ენა კრიმინალიზებულია, ავტორები არაერთ შემზღუდავ ნორმასა და მისგან გამოწვეულ, მათთვის შემამფოთებელ ფაქტებზე საუბრობენ, მაგალითად დიდ ბრიტანეთზე, სადაც მოქმედებს სიძულვილის ენის შემზღუდავი აქტი, რომელიც აკონკრეტებს მათ შორის რასობრივი, რელიგიური და სექსუალური ორიენტაციის ნიადაგით წარმოებულ სიძულვილის ენას. ისინი ხშირად კამათობენ, რომ აღნიშნული აქტი მთავრობას აძლევს უფლებას ზედმეტად შეზღუდოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. მაგალითად, შოტლანდიელი იუთუბერის, მარკ მიკენის საქმე, როდესაც ის 800 ფუნტით დაჯარიმდა ვიდეოს გამოქვეყნებისთვის, რომელშიც ძაღლს ნაციონალურ მისაღმებას ასწავლიდა (ფრაზაზე Sieg Hail თათის აწევით). ამ ავტორებისთვის, ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედი კანონები ცალკეულ შემთხვევებში ძალიან მარტივად იჭრებიან და არღვევენ გამოხატვის თავისუფლების უფლებას (Cormack 2019).

სიძულვილის ენის რეგულირების მოწინააღმდეგეთათვის განსაკუთრებით „აღმამფოთებელი“ აღმოჩნდა გაეროს გენერალური მდივნის, ანტონიო გუტიერეშის 2019 წლის 25 თებერვლის მიმართვა, სადაც მან სიძულვილის ენის მავნებლობაზე ისაუბრა და გასცა დაპირება, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ გლობალურ გეგმას შეიმუშავებდა. სიტყვით გამოსვლის მიხედვით, გუტიერეშისთვის განსაკუთრებით მიუღებელია თანამედროვე მსოფლიო ტენდენცია, სადაც არა მხოლოდ ავტორიტარული, არამედ ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნების ლიდერებიც კი იყენებენ პოპულისტურ მესიჯებს და მიზნის მისაღწევად არ ერიდებიან სიძულვილის ენის გაღვივებას. აღსანიშნავია, რომ თავად ამ გამოსვლას უწოდებენ ავტორთა გარკვეული ნაწილი პოპულისტურს. მაგალითად, ერთ-ერთი ავტორი, იაკობ მექენგამა მიიჩნევს, რომ სიძულვილის ენის გავრცელებასთან დაკავშირებით, გაეროს გენერალური მდივნის მიერ დასმული „დიაგნოზი“ სახიფათოდ ზედაპირულია და მისი „მკურნალობა“ შეიძლება უარესი შედეგის მომტანი აღმოჩნდეს. ავტორი მიიჩნევს, რომ გუტიერეშის შემფოთების მიზნები,

პოპულიზმი და პოლიტიკოსების მიერ გავრცელებული მანიპულაციური ინფორმაცია, არ არის მხოლოდ 21-ე საუკუნის პრობლემა და მსგავსი პრობლემები, შესაბამისად სიტყვის თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვის იდეები, გასულ საუკუნეებშიც არაერთხელ გვხვდება. მსგავსი დებატები 1940 წელს გაეროშიც მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მიიღეს ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც დეკლარირებული იყო, რომ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება დაცულია, მაგრამ, ამავდროულად, ეროვნული, რასობრივი და რელიგიური ზიზღის მხარდაჭერა, რაც ახალისებს დისკრიმინაციას, მტრულ და ძალადობრივ გარემოს, კანონის მიერ უნდა იქნას აკრძალული. აღნიშნული ჩანაწერის მიღებაში ყველაზე მეტი ენთუზიაზმი საბჭოთა კავშირმა და მისმა მოკავშირეებმა გამოავლინეს, დასავლური დემოკრატიების უმრავლესობამ კი მას წინააღმდეგობა გაუწია. გაეროს ადამიანის უფლებების კომისიის თავმჯდომარემ, ელეონორ რუზველტმა ამ ჩანაწერს განსაკუთრებულად სახიფათო უწოდა, იმ მოტივით, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოები მას საწინააღმდეგო აზრის ჩასახშობად გამოიყენებდნენ. „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ ავტორიტარულ ქვეყნებში კი - არა, არამედ უკვე ევროპის კონტინენტზეც არსებობს“ (Mchangama 2019). მაგალითად გერმანია, სადაც მიიღეს კანონი სიძულვილის ენის შემცველი ინფორმაციის სოციალური ქსელიდან 24 საათის მოხსნის შესახებ (წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულია 56 მლნ დოლარამდე ჯარიმა), რაც ქმნის რისკს, რომ მაგალითად Facebook-მა ამ ჯარიმის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა წაშალოს ლეგალური და სრულიად მისაღები კონტენტი. ავტორიტარულ ქვეყნებში (და ასეთი ბევრია) მსგავსი რეგულაცია უმცირესობების დაცვას კი არ მოემსახურება, არამედ, დამატებითი იარაღი იქნება ხელისუფლების ხელში. ამის მაგალითები მრავლადაა: ვენესუელაში, სადაც სიძულვილის წინააღმდეგ მიღებული კანონი მადუროს ოპოზიციის და თავისუფალი ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოიყენება. მსგავსი ვითარებაა რუსეთშიც, რომელმაც გერმანიის კანონმდებლობა დააკოპირა და რომელსაც, სავარაუდოდ, კრემლის ოპონენტების წინააღმდეგ იყენებენ. მსგავსი ხდება ტაჯიკეთსა თუ ყაზახეთში, სადაც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის მოტივით იწყება დევნა. მსგავსად „იცავს“ მართლმადიდებლურ მიმდინარეობას რუსეთიც (Mchangama 2019).

სიძულვილის ენის რეგულირების მოწინააღმდეგე ავტორების მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მომხრეებს შესაძლოა კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდეთ, თანამედროვე ეპოქაში, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის რისკი, რომელიც გამართლებულია სიძულვილის ენის ჩახშობის სურვილით, სერიოზული გამოწვევაა. ისინი მიიჩნევენ, რომ მართალია სიძულვილის ენა შეიძლება იყოს რეალურად საფრთხის შემცველი, თუმცა მისი რეგულირება

უფრო მეტი საფრთხის მომტანია. შესაძლოა, ხშირ შემთხვევაში, თავისუფალი სიტყვა მძიმედ მოსასმენი და მტკივნეული იყოს, მაგრამ მისი შეზღუდვა მსოფლიოს უფრო ნაკლებად უსაფრთხოდ, ტოლერანტულად და თავისუფალ ადგილად აქცევს. ამდენად, მსგავსი „რეპრესიული“ მიდგომების შედეგი, ცალსახად განუჭვრეტადია, რამაც მეორე მხარეს, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ღირებულება დააზიანოს (Narrain 2018). მართალია სიძულვილის ენა შეურაცხმყოფელია, მაგრამ ის მაინც სიტყვებია და არა ქმედება და დაცულია სიტყვის თავისუფლებით. როცა საქმე სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ეხება, არგუმენტები ძალიან მყარი უნდა იყოს და სიძულვილის ენასა და რეალურ ზიანს შორის მკაფიო კავშირი უნდა იკვეთებოდეს (Barendt 2019).

მედიის რეგულირების საფრთხეების ანალიზი

თვითრეგულირება მედიის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული ინსტრუმენტია, ის არის თავად მედიის და მედია გაერთიანებების მიერ შემუშავებული ე.წ. ქცევის კოდექსი, რომელიც თავისი არსით გულისხმობს მედიის სახელმწიფოს ჩარევისგან თავისუფლებას, მაგრამ პასუხისმგებლობის აღებას საზოგადოების წინაშე. ამ მოდელის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მასში სახელმწიფო ვერ ერევა და შესაბამისად, ნაკლებია რისკი, რომ რომელიმე მთავრობას ექნება ცდუნება შეზღუდოს კრიტიკული მედიის თავისუფლება. როდესაც რეგულირებასთან მიმართებით თვითრეგულირების უპირატესობაზე საუბრობენ, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებენ, რომ მედიაში დასაქმებულებმა უკეთ იციან საკუთარი ე.წ. „მიდა სამზარეულო“ და თავად უკეთ შეიმუშავენ ქცევის კოდექსს, ვიდრე სახელმწიფო, რომელმაც, როგორც წესი, ნაკლებად იცის მედიის მუშაობის ყოველი მნიშვნელოვანი პრინციპი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე ეპოქაში, როდესაც მედია ბაზარი უფრო და უფრო გლობალური ხდება, რაც თავისთავად იმასაც გულისხმობს, რომ მედია არღვევს კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებს და გვთავაზობს მსოფლიოს საზღვრებს გარეშე, მეტად რთული ხდება შეზღუდო ის რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს კანონმდებლობით. გლობალიზაციის პროცესმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ისევე, როგორც სხვა ბევრი სფერო, მედიის მუშაობაც მსოფლიო პროდუქტად აქცია და ის აღარ არის რომელიმე ქვეყანაში არსებული ვიწრო საქმიანობა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თვითრეგულირება სახელმწიფოს აცილებს ე.წ. ბიუროკრატიულ ხარჯებს და ის მეტად მოქნილ და იაფ სისტემას გვთავაზობს (Puddephatt 2011).

თვითრეგულირების მოდელის მოქნილობა განსაკუთრებით აქტუალური შეიძლება იყოს იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლო მეტისმეტად გადატვირთულია და თითოეული გადაწყვეტილების დადგომა სასამართლოში ხანგრძლივ პროცესს მოიცავს. მაგალითისთვის, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, თვითრეგულირების ორგანოს - პრესის საბჭოს¹⁰ შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სწორედ, გადატვირთული სასამართლო, კერძოდ, მომხმარებლის მიერ მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ წარმართული, წლების განმავლობაში გადაუწყვეტელი სასამართლო დავები გახდა (Zurovac 2018).

მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით მედია რეგულირების სხვადასხვა მოდელია გავრცელებული. დაწყებული თვითრეგულირებიდან, დასრულებული სისტემის სამართლის ნორმებით. ამ ორ უკიდურეს წერტილებს შორის შემოთავაზებულია სხვადასხვა ტიპის რეგულირება, მაგალითად თანარეგულირება¹¹ და ნორმატიული რეგულირება,¹² რომლებიც ძირითადად ევროპულ ქვეყნებშია დამკვიდრებული. თანარეგულირება გულისხმობს თვითრეგულირების და სახელმწიფოს მიერ რეგულირების კომპონენტების ერთდროულად მოქმედებს. ამ სისტემაში შესაძლებელია მაუწყებლის დაჯარიმება ან უფრო მკაცრი სასჯელი, კონკრეტული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, თუ მაუწყებელი მათ არ გამოასწორებს. ზოგადი ტენდენციით, თუ პრესა უფრო თვითრეგულირების მოდელებს ეყრდნობა, სამაუწყებლო მედია უფრო მეტად რეგულირებულია თანარეგულირების სისტემით. თანარეგულირების დონეებიც მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, მაგალითად: როცა სახელმწიფო სრულად გადასცემს ძალაუფლებას მედია ინდუსტრიას, რათა თავად შემოიღოს და აღასრულოს კონკრეტული რეგულაციები; როდესაც სახელმწიფოს შემოაქვს კონკრეტული ქვეყნის კოდექსი, თუმცა მხოლოდ იმ მედია ორგანიზაციებს ავალდებულებს შესრულებას, რომლებიც მას შეუერთდებიან; როდესაც სახელმწიფო მედია ორგანიზაციებისგან ითხოვს ჰქონდეთ ეთიკის კოდექსი და თუ არ აქვთ, მთავრობას შემოაქვს სტანდარტი; როდესაც სახელმწიფო აღგენს კოდექსს ან რეგულაციას, რომელიც აღსასრულებლად სავალდებულოა მედიის მთელი ინდუსტრიისთვის და ა.შ. (Compact-media 2017). რაც შეეხება ნორმატიულ რეგულირებას, მსგავსი ფორმა შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევადად, როცა ჩვენ თანარეგულირებაზე კი არ ვსაუბრობთ, სადაც მედია და სახელმწიფო ინსტიტუტები გარკვეულწილად ერთიან ინსტიტუტად

¹⁰ ბოსნია და ჰერცეგოვინას პრესის პრესის საბჭო აერთიანებს 10 ყველაზე დიდ გამომცემელს, 2 ასოციაციას, რომელშიც ჟურნალისტები შედიან, ასევე, 2011 წელს მისი მოქმედების სფერო ონლაინ მედიაზეც გავრცელდა. ამ საბჭოს არ აქვს ვინმეს დაჯარიმების ან სხვა სახით დასაწესებების უფლება და იუსტიციის სამინისტროში დარეგისტრირებულია როგორც არამომგებიანი ორგანიზაცია.

¹¹ თვითრეგულირება სახელმწიფოს ჩართულობით.

¹² თვითრეგულირების სისტემის სახელმწიფოს მიერ აღიარება.

გვევლინებიან, არამედ, მოდელს, რომელშიც სახელმწიფო, კანონის გზით, ერთგვარად აღიარებს თვითრეგულირების ორგანოებს, მაგრამ არ ერევა მათ საქმიანობაში. სწორედ ეს ფორმა შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც მედიის თვითრეგულირების ნორმატიული აღიარება, როდესაც თვითრეგულირების ორგანოების ქცევის კოდექსი აღიარებულია კანონის მიერ. ამდენად, ასეთმა სისტემამ შეიძლება წაახალისოს თვითრეგულირება, შეუქმნას მას გარკვეული სასტარტო პირობები და გახადოს ის პოპულარული, თუმცა, ის არ ჩაერევა ამ ორგანოს საქმიანობაში, როგორც ეს ხდება ისეთ შემთხვევებში, როცა სახელმწიფოს კონკრეტული სფერო რეგულირებული აქვს და მათ ზედამხედველობას შესაბამისი ოფიციალური სტრუქტურები უწევენ (Hulin 2014).

აღსანიშნავია, რომ თანარეგულირების ან/და ნორმატიული რეგულირების როგორი სისტემაც არ უნდა იყოს ქვეყანაში, როგორც წესი, იგი ნაკარნახევია კონკრეტული პრობლემებით და თანამედროვე ეპოქაში, ძირითადად პასუხობს მედიის საშუალებით გავრცელებულ დეზინფორმაციას, სიძულვილის ენას, ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემას, სხვადასხვა მგრძნობიარე თემების შესაბამისი სტანდარტებით გაშუქებას და ა.შ. უფრო კონკრეტულად, როდესაც მთავრობა და საზოგადოება თანხმდება, რომ მედია მინიმალურად მაინც უნდა იყოს რეგულირებული (თანარეგულირების ან ნორმატიული რეგულირების სისტემა), პირველ რიგში ისინი სვამენ შეკითხვას: რა არის არსებული მედიის პრობლემა? - მედია, რომელიც იმართება კონგლომერატების მიერ და მხოლოდ ეს გაერთიანებები ქმნიან დღის წესრიგს?! მეორე, უმცირესობების ხმები არ ისმის მედიაში?! თუ მესამე, მედიას აქვს ეთიკური პრობლემები, ხშირად ირღვევა ამა თუ იმ ჯგუფის უფლებები და მედია იქცევა სიძულვილის ენის გამტარად?! მხოლოდ ამ პრობლემების განსაზღვრის შემდეგ შეიძლება იყოს რაიმე რეგულაციასზე საუბარი და აქაც, უნდა დაისვას კითხვა, ვის და როგორ ვარეგულირებთ, გაზეთებს, რადიოს, ტელევიზიას, ინტერნეტს, ათასობით მოქალაქეს სოციალურ ქსელში? ანუ, კონკრეტულად ვინ არის მედია ან ჟურნალისტი? (Kent 2015). იმ შემთხვევაშიც კი თუ ამ კითხვებზე შესაბამისი, შეთანხმებული პასუხები გვეცოდინება, უნდა ვთქვათ, რომ მკვლევართა უმეტესობა, რომელიც თანამედროვე მედიაში არსებულ გამოწვევებზე მუშაობს, ცალსახად თანხმდება, რომ არ არსებობს რაიმე მზა რეცეპტი ამა თუ იმ ქვეყნისთვის, თუ როგორ უპასუხოთ მედიაში არსებულ პრობლემებს. მაგალითად ისინი აღნიშნავენ, რომ სიძულვილის ენის აღმოფხვრის მიზნით მიღებული არაერთი რეგულაცია, მეორე მხრივ, რაღაც დონეზე ყოველთვის ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას და ბევრი მოქმედი რეგულაცია ამ მხრივ გადახედვას საჭიროებს. ისინი ეჭვქვეშ აყენებენ ისეთ რეგულაციებს, რომლებიც უშუალოდ მედიას მიემართება და სვამენ შეკითხვას,

საერთოდ საჭიროა თუ-არა მსგავსი რამ, თუ ის მედიაში პროფესიონალიზმის ზრდას მაინც ვერ უწყობს ხელს (Mendel and other 2018).

როდესაც მედია თვითრეგულირებასა და რეგულირებაზე მსჯელობენ, რეგულირების მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტები, როგორც წესი, ეყრდნობა მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოში, ძირითადად ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილ ქვეყნებში, მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ არსებული რეპრესიული პრაქტიკის კრიტიკას. არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოში ხელისუფლებები, მედიის რეგულირებას, რომელსაც, როგორც წესი, სიძულვილის ენის ტირაჟირების შეზღუდვის მიზნით ახდენენ, იყენებენ თავად ამ ორგანიზაციების და ადამიანების წინააღმდეგ, რათა შეზღუდონ მათი კრიტიკული სიტყვის თავისუფლება.

მაგალითისთვის, 1994 წლის რუანდაში მომხდარი გენოციდის¹³ შემდეგ, გაჩნდა მოსაზრება, რომ რუანდის გენოციდის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი იყო ის ძალადობის ენა, რომელიც ადგილობრივი რადიოთი გადაიცემოდა და რომელიც აშკარა შუღლსა და სიძულვილს აღვივებდა ტუტსის ტომის მიმართ (Maynard and Benesch 2016). გენოციდის შემდგომ, ქვეყანა ეკონომიკურად საკმაოდ მალე გამოცოცხლდა, თუმცა მსგავსი დადებითი ტენდენცია არ დაიწყო დემოკრატიისა და მედიის თავისუფლებასთან მიმართებით, გენოციდის ფაქტი და აღნიშნული ადგილობრივი რადიოს მოქმედება კი, ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საბაბად. კერძოდ, რუანდაში მოქმედებს რამდენიმე კანონი, რომლებიც გენოციდის შემთხვევით არის ნაკარნახევი და რომელთა ოფიციალური მიზანია აღარ დაუშვას 1994 წლის მოვლენები. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში, ეს კანონები გამოყენებულია თავისუფალი, კრიტიკული აზრის, მათ შორის, ჟურნალისტების წინააღმდეგ. უკანასკნელი წლების განმავლობაში, დაახლოებით 2 000 საქმეზე დაიწყო სასამართლო განხილვა, სადაც მოპასუხეებს პროკურატურა ბრალს სდებდა გენოციდის იდეოლოგიის გავრცელებასა თუ ამ ფაქტის არასწორ ინტერპრეტაციაში. მოქმედი, საკმაოდ ბუნდოვანი კანონებიდან გამომდინარე, აღნიშნული ბრალდებები ხშირად ნაკლებად საფუძვლიანი და სუსტია.¹⁴ გენოციდის იდეების გავრცელების საწინააღმდეგო კანონები

¹³ 1994 წლის 6 აპრილიდან იმავე წლის ივლისის შუა რიცხვებამდე, დაახლოებით 800 000-დან 1 071 000-მდე ადამიანი იქნა განადგურებული ჰუტუს ტომის ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ. გენოციდის მსხვერპლი ძირითადად ტუტსის ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები და ზომიერად განწყობილი ჰუტუს ტომელები იყვნენ.

¹⁴ იყო შემთხვევა, როცა კონკრეტული რეგიონის ადგილობრივი რადიოს წამყვანის წინააღმდეგ პროკურატურამ საქმე აღძრა გენოციდის უარყოფის ბრალდებით, მაშინ როცა, რეალურად, რადიოს წამყვანს ტექსტის კითხვის დროს რამდენიმე სიტყვა უბრალოდ შეეშალა.

რუანდაში 2003 და 2008 წლებში მიიღეს. კანონების თანახმად, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება გენოციდის მინიმიზება (მნიშვნელობის დაკნინება), უარყოფა ან გამართლება. ორივე კანონი კრიტიკის ობიექტი გახდა, დაუზუსტებელი და ბუნდოვანი ტერმინების გამო, რაც ქმნის ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას. როგორც აღინიშნა, ამ კანონების მიღება მჭიდროდაა დაკავშირებული 1994 წლის მოვლენებთან, რა დროსაც 800 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. შემდგომ პერიოდში ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევებმა აჩვენეს, რომ ამ მოვლენებში გარკვეული როლი მედიაშემატებელმა და გენოციდში მონაწილეთა გარკვეული ნაწილი ამ მოვლენებში პროპაგანდის გავლენის შედეგად ჩაერთო. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, რუანდაში მედიის მიმართ ნდობა საკმაოდ შეირყა, რამაც საბოლოოდ წარმოშვა ზემოთ ნახსენები - სიტყვის თავისუფლების მკაცრი რეგულირება. ამ კანონების სიმკაცრეზე მიუთითებენ სხვადასხვა ავტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ. Amnesty International, Human Rights Watch და ა.შ.) და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც. ზემოთ აღნიშნული ტერმინების, გენოციდის უხეში მინიმიზების (დაკნინების), გენოციდის უარყოფის და ა.შ. სწორად განმარტება რთული აღმოჩნდა უშუალოდ მოსამართლეთათვის, რადგან ტერმინები იყო ძალიან ფართო და დაუზუსტებელი. ამასთან, ამ განმარტებების საფუძველზე, შესაძლებელია კანონდამრღვევის დაპატიმრება 10-დან 25 წლამდე ვადით. ხოლო, მედიის ან პოლიტიკოსების მიერ აღნიშნული აქტების დარღვევა იწვევს უფრო მკაცრ სასჯელს, ვიდრე სხვა შემთხვევებში და სასჯელი მინიმუმ 20-დან 25-მდე წელია. რომ შევაჯამოთ, სიძულვილის ენის ტირაჟირების შეზღუდვის მიზნით გავრცელებულმა აზრებმა, ხელისუფლებას მისცა საშუალება გაემართლებინა გენოციდთან დაკავშირებული კანონების არამართლზომიერი ბუნება, მათი ბუნდოვანება და პრობლემატურობა და გამოეყენებინა ისინი ოპონენტებისა და მედიის ღვეზის მარტივ იარაღად (Jansen 2014).

როგორც უკვე აღინიშნა, მედიის რეგულირების მოწინააღმდეგეთა ძირითადი კრიტიკა და შეიძლება ითქვას წუხილი, მიმართულია იმისკენ, რომ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიულმა რეჟიმმა ვერ მოიკიდა ფეხი და სადაც ავტორიტარიზმისკენ აშკარა მიდრეკილებაა, როგორც წესი, მედიის რეგულირება გამოყენებულია თავისუფალი სიტყვის და გამოხატვის ჩასახშობად. ამის კიდევ ერთი აშკარა მაგალითია ვენესუელა. ისეთ პრობლემებთან ერთად, როგორიცაა პირდაპირი თავდასხმები ჟურნალისტებზე, ფსიქოლოგიური ზეწოლა, ფინანსური ბარიერები და ა.შ. ვენესუელაში მოქმედი მედიასაშუალებები შეზღუდულნი არიან საკანონმდებლო რეგულაციებითაც. 2017 წლიდან ანტისამთავრობო პროტესტის გამწვავების შემდეგ, შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდა, რაც გამოიხატა სხვადასხვა კანონის მიღებით: 1. კანონი,

რომელიც საგანგებო მდგომარეობისა და ეკონომიკური კრიზისის დროს აღმასრულებელ ხელისუფლებას აძლევს უფლებას, უგულებელყოს ადამიანის უფლებები შესაბამისი „სპეციალური და ძალადობრივი მეთოდებით“; 2. კანონი სიძულვილის ენის წინააღმდეგ; 3. უარი რადიომუწყებლებს მაუწყებლობის ლიცენზიაზე; 4. ნაციონალური ტელეკომუნიკაციების კომისიის 70-ზე მეტი ახალი რეგულაცია მაუწყებლებისთვის და ა.შ. ამასთან, ვენესუელაში მოქმედებს კანონი რადიოს, ტელევიზიის და ელექტრონული მედიის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც გამოყენებულია მედიაზე მუქარისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამა თუ იმ მედიასაშუალების დახურვისთვის. კანონი აწესებს საკმაოდ მოცულობით ჯარიმებს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც თავიანთ პროდუქციაში „ხელს უწყობენ და ახალისებენ საჯარო წესრიგის დარღვევას“, „ხელს უწყობენ და ახალისებენ კრიმინალს“, „ხელს უწყობენ საზოგადოებაში სტრესის გავრცელებას ან არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს“, „უგულებელყოფენ ლეგიტიმურ ხელისუფლებას“ და ა.შ. ასევე, არსებობს კანონი რომელიც იცავს სახელმწიფო მოხელეების ღირსებასა და რეპუტაციას კრიტიკული თავდასხმებისგან. ასევე, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება დეფამაცია (ცილისწამება) და სასჯელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა ან 5 წლამდე პატიმრობა. 2017 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა სიძულვილის ენის წინააღმდეგ კანონი, ტოლერანტობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. აღნიშნული კანონი კრიტიკას იმსახურებს პირველ რიგში იმიტომ, რომ არ არის განმარტებული სიძულვილის ენა, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი ტერმინები, რაც ტოვებს ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას და სავარაუდოა, რომ მისი მიზანი მთავრობის კრიტიკოსების გაჩუმებაა. 2018 წლის თებერვალში ეს კანონი გამოყენებული იქნა გაზეთის წინააღმდეგ, რომელმაც კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ზემოთ აღნიშნული კანონი, სასჯელის სახით, ითვალისწინებს 10-დან 20 წლამდე პატიმრობას, ადმინისტრაციულ სანქციებს, ჯარიმებს და მედია პროდუქტის დაბლოკვას (Quiñones 2018).

აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციაში არსებული პრაქტიკაც, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთში ჟურნალისტებზე პირდაპირი ძალადობის ფაქტებსა და მათ არაერთ გახმაურებულ მკვლელობებზე, რუსეთის ხელისუფლება პერიოდულად ამკაცრებდა საკანონმდებლო ჩარჩოს. 2012 წელს რუსეთმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა არაკომერციული და არასამთავრობო უცხოური ორგანიზაცია ვალდებულია დარეგისტრირდეს როგორც “Foreign Agent”, რაც რუსეთის მთავრობას აძლევს საშუალებას გამოიკვლიოს კონკრეტული ორგანიზაციის საქმიანობა, განახორციელოს მიყურადება და ჩაატაროს მათი აუდიტი. 2013 წელს

რუსეთის დუმის გადაწყვეტილებით, დეფამაცია¹⁵ კვლავ იქცა სისხლის სამართლის დანაშაულად. 2002 წელს მიღებული კანონი - „ექსტრემისტული აქტივობების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ - კრძალავს „ექსტრემისტული“ შინაარსის ინფორმაციის გავრცელებას კომუნიკაციის საშუალებებით. ცალსახაა, რომ ამ ფართო დეფინიციის ქვეშ შეიძლება მოექცეს ნებისმიერი სამოქალაქო აქტივობა, კრიტიკული აზრი ან მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტი. ანტიექსტრემისტული კანონი რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოყენებული იყო პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ 2007 და 2011 წლებში, როდესაც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს ხელს უშლიდნენ გაეცრცელებინათ საარჩევნო კამპანიის ბუკლეტები, ფლაერები და ა.შ. იმ მოტივით, რომ მათ კავშირი ჰქონდათ ექსტრემიზმთან. თუმცა, საბოლოოდ, მსგავსი აკრძალვების დიდ ნაწილზე საკმარისი მტკიცებულებების არქონის გამო, საქმეები იხურებოდა ხოლმე, მაგრამ მხოლოდ არჩევნების დასრულების შემდეგ, როცა აღნიშნული საარჩევნო ატრიბუტიკა საჭირო აღარ იყო. რაც შეეხება ცენზურას ინტერნეტში, 2012 წელს მიღებული კანონით, მთავრობას აქვს უფლება ე.წ. შავ სიაში შეიყვანოს ისეთი ვებ-გვერდები, რომლებიც მიიჩნევა ბავშვებისთვის საზიანოდ. თუმცა, ბავშვებისთვის მართლაც საფრთხის შემცველი ინფორმაციის გარდა, კანონი შეიძლება განიმარტოს იმგვარადაც, რომ მის აკრძალვებს უფრო მეტი რამ დაექვემდებაროს (Favret 2013).

ამ და სხვა კანონების მავნე გავლენის წნეხს თითქმის ყოველ დღე განიცდიან რუსეთში მედია ორგანიზაციები და ჟურნალისტები. 2014 წელს მიღებული რეგულაციით, მედია ორგანიზაციები ვალდებული არიან დაიყვანონ თავიანთი არარუსი მფლობელების წილი 20%-მდე, რამაც პრობლემები შეუქმნა რადიო თავისუფლებას, ხოლო CNN აიძულა რუსეთში მაუწყებლობა შეეწყვიტა. აღნიშნული გადაწყვეტილება პრობლემად იქცა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც. 2014 წელს უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, რუსეთმა გააფრთხილა „ეხო“ და „ნოვაია გაზეტა“, რომ მათი გაშუქების სტილი რუსეთის კანონებს ეწინააღმდეგებოდა.¹⁶ მარეგულირებელმა მედიასაშუალებას გადაცემის აღება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ვებ-გვერდის დაბლოკვით დაემუქრა. აღსანიშნავია, რომ გადაცემაში სტუმრად მიწვეული იყო ორი ჟურნალისტი, რომლებმაც საკუთარი თვალთი იხილეს უკრაინაში დონეცკის აეროპორტისთვის ბრძოლები და ამის შესახებ საკუთარ გამოცდილებას ყვებოდნენ (Slavtcheva-Petkova 2017). 2019 წლის მარტში რუსეთის პრეზიდენტის ხელმოწერით ძალაში

¹⁵ იხ. <https://www.law.cornell.edu/wex/defamation?fbclid=IwAR1LImoKOWp5nj9zmeteuppTefDWNIMcb9UdevuJPcN0Qoe7cnulCt7MyE>.

¹⁶ როსკომნაღზორის გაფრთხილება: “Information is contained in the given programme which justifies the practice of war crimes”.

შევიდა ორი საკანონმდებლო აქტი. პირველი მათგანის თანახმად, სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლება ისეთი ონლაინ პროდუქტის გამოქვეყნება, რომელიც „უხეშად შეურაცხყოფს“ სახელმწიფოს, ოფიციალურ სიმბოლოებს, საზოგადოებას, კონსტიტუციას და საჯარო უწყებებს, დაისჯება 4 600 დოლარიანი ჯარიმით, ან პატიმრობით 15 დღემდე. მეორე კანონის თანახმად კი, ყალბი ინფორმაციის მედიაში ან ონლაინ სივრცეში გავრცელება ისჯება 23 300 დოლარამდე ჯარიმით. მარეგულირებელი უზრუნველყოფს ამ კანონების აღსრულებას ონლაინ კონტენტის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზედამხედველობის გზით. უწყებას შეუძლია დაბლოკოს გვერდი სასამართლოს შესაბამისი ორდერის გარეშე, თუ გამავრცელებელი კანონსაწინააღმდეგო ინფორმაციას დაუყოვნებლივ არ წაშლის. ბუნებრივია, ამ კანონების მიღებას მოჰყვა არაერთი ორგანიზაციის კრიტიკა და მსგავსი სახის რეგულაციები აღქმული იქნა როგორც მედიისა და ონლაინ სივრცის ცენზურა (PEN International 2019).

მედია რეგულირების მომხრეთა ერთი ნაწილისთვის, შესაძლოა საკმარისი არ იყოს რუანდის, ვენესუელას ან/და რუსეთის ფედერაციის მაგალითები და თქვან, რომ მედიის რეგულირების გარეშეც ეს ქვეყნები მკვეთრად არადემოკრატიულები და ავტორიტარულ/ტოტალიტარულები არიან, შესაბამისად, რეგულირების საფრთხეებზე საუბრისას მათი პრაქტიკით საუბარი არარელევანტური შეიძლება იყოს. ამ მოსაზრების პასუხად აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ეს ქვეყნები თვალსაჩინო მაგალითია იმისა, მედია რეგულირების მზარდმა ტენდენციამ, საბოლოო ჯამში, როგორი რეალობა შეიძლება ჩამოაყალიბოს. რეპრესიული კანონმდებლობა და ჟურნალისტების იძულება კანონის შიშით დაიწესონ თვითცენზურა, მხოლოდ ავტორიტარული ქვეყნების პრობლემა არ არის. გაუგებარმა, ხშირ შემთხვევაში, ზედმეტად შემზღუდავმა კანონმდებლობამ ბევრ ჟურნალისტსა და მედია ორგანიზაციას შეუქმნა პრობლემა მათ შორის ისეთ ქვეყნებშიც, როგორიც არის მაგალითად სლოვენია, ხორვატია, საბერძნეთი. ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლება იზღუდება თუნდაც ტერორიზმის საფრთხის და ამ საკითხზე ინფორმაციის რეგულირების მოტივით, მოქალაქეებს ეზღუდებათ ინფორმაციაზე წვდომა, რომლის მიწოდების პასუხისმგებლობაც მედიას აქვს. რეგულირების მოწინააღმდეგენი თანხმდებიან რომ ბევრი სხვადასხვაგვარი რეგულირება და შემზღუდავი კანონი, საბოლოოდ, ინფორმაციაზე წვდომას ართულებს და მოქალაქეებს ინფორმაციულ ვაკუუმში აგდებს, რაც შესაბამისად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზების შესაძლებლობას ამცირებს (Council of Europe 2014) და აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს ტენდენცია ევროპაში და არა მხოლოდ, საკმაოდ მზარდია და საშიშ ფორმას იღებს (Council of Europe 2019).

მედია რეგულირების მომხრეთა არგუმენტები, ძირითადად თვითრეგულირების მოდელის კრიტიკას ეყრდნობა. მათი მოსაზრებით, თვითრეგულირების სისტემაში ახალ მედია კომპანიებს ინდუსტრიაში შესვლის ბარიერები ექმნებათ. მსგავსი სისტემა ქმნის მონოპოლიებს და არ ტოვებს კონკურენციის შესაძლებლობებს პატარა მედია კომპანიებისთვის. მათი მოწინააღმდეგეთა მოსაზრებით კი, პირიქით, თვითრეგულირების სისტემაში მეტია შესაძლებლობა ბევრი ახალი მედია კომპანიის წარმოშობის, სადაც რეგულატორს (მედიის შემთხვევაში კომუნიკაციების კომისიას) არ აქვს შესაძლებლობა მიიტაცოს ძალაუფლება და ინდუსტრიაში შესვლის ხელოვნური ბარიერები შექმნას (Compact-media 2017).

რეგულირების მომხრეთა სხვა არგუმენტი მრავალფეროვნების საკითხს შეეხება. მათი მოსაზრებით, მედიის რეგულირება აუცილებელია იქიდან გამომდინარე, რომ აუდიტორიას აქვს უფლება მიიღოს მრავალფეროვანი ინფორმაცია და კერძო მფლობელებმა, შემოსავლების გამო, შესაძლოა უარი თქვან სხვადასხვა არარეიტინგული საკითხების გაშუქებაზე (Wulff 2007), ასევე, შესაძლოა მედია მანიპულირების საშუალებად იქცეს თუ მფლობელები ან/და მათი გაერთიანება გადაწყვეტს, რომ მედია გამოიყენოს კონკრეტული საკითხის პროპაგანდის იარაღად. აღნიშნული პოზიციების გასამყარებლად ავტორები იხსენებენ მაგალითად ლევესონის გამოძიებას დიდ ბრიტანეთში. 2011 წელს გაირკვა, რომ „მსოფლიო ამბების“ გამოცემამ უკანონო წვდომა მოიპოვა 14 წლის მოზარდის მობილურზე, რომელიც გატაცებისა და შემდგომში მკვლელობის მსხვერპლი იყო. ამ შემთხვევის გამოძიების შემდგომ, ლევესონის გამოძიება გაგრძელდა პრესის საქმიანობის შესახებ და აღმოჩნდა არაერთი შემთხვევა, როცა პრესა არ ითვალისწინებდა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და უშვებდა ისეთ შემთხვევებს, როცა ხდებოდა პირადი ინფორმაციის არაპროპორციული გამოყენება და სხვა არაეთიკური ქცევა რეიტინგის და შესაბამისად, შემოსავლების გასაზრდელად. სწორედ ამ გამოძიების შემდგომ დადგა დღის წესრიგში თვითრეგულირების ეფექტიანობის გადახედვა დიდ ბრიტანეთში და რეგულირების საჭიროებაზე ფიქრი, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა თავად ინდუსტრიის მხრიდან (Finkelstein and Tiffen 2015).

ამ მოსაზრებების საწინააღმდეგოდ მიიჩნევა, რომ ხელისუფლების მხრიდან მედიაში სხვადასხვა რეგულაციებით ჩარევა ვერ გაზრდის, მაგალითად იმ თემების გაშუქების მოტივაციას მედიაში, რომელიც უზრუნველყოფს პლურალიზმს. საზოგადოების და მათი პრობლემების მრავალფეროვნების არ გაშუქების საკითხმა, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეის ჩამოყალიბება და შემდგომ ბიუჯეტიდან დაფინანსებული ტელევიზიების შექმნა, თუ ეს ტელევიზიები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს

„მრავალფეროვანი საზოგადოების სიკეთის“ პოპულარიზაციას, ვერც რეგულაციები მოახერხებს აღნიშნულს. თუ ბიუჯეტიდან დახარჯული ათასობით ფუნტი, დოლარი თუ ლარი ვერ ახერხებს ამ იდეის განხორციელებას, მაშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა მნიშვნელოვნად უნდა გადაიხედოს და არა პირიქით, ზედმეტი ხარჯი და ბიუროკრატია დაემატოს სახელმწიფოს. რაც შეეხება მედია ეთიკურ სტანდარტებს, მედიის გაუმართლებელ ჩარევას ადამიანის პირად ცხოვრებაში, ამისთვის კონკრეტული ადამიანის მიერ წამოწყებული ბრძოლაც საკმარისია იმ სისტემაში, სადაც სასამართლო გამართულად ფუნქციონირებს. შესაბამისად, ნებისმიერი დემოკრატიული ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს არა ახალი რეგულაციების შემოღება და მედიის ცენზურა, არამედ გამართული სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა, სადაც თითოეული მოქალაქე და ორგანიზაცია შეძლებს საკუთარი ცხოვრებისა და ღირსების დაცვას. მაგალითისთვის აუცილებლად უნდა ვახსენოთ, თუნდაც ევროკავშირის მცდელობა მედიის გაციფრულების კვალდაკვალ, შემოიღოს ისეთი რეგულაციები, რომელიც ვითომ უზრუნველყოფს ევროპული ბაზრის დაცვას მონოპოლიებისგან და ამავდროულად, ინარჩუნებს წონასწორობას რეგულაციასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. საბოლოო ჯამში, ეს „კეთილი მიზანი“ პრაქტიკაში ვერ მიიღწევა და უფრო ხშირად „წაგებული“ გამოხატვის თავისუფლება რჩება.

ევროპაში ფართო დებატების საგანია 2010 წელს მიღებული ევროდირექტივა¹⁷ (რითაც ახალი კანონპროექტის შემუშავებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კომუნიკაციების კომისია). ეს დირექტივა, თავისი არსით ცდილობს ჩაერიოს მედიის ტექნიკურ, ფინანსურ და შინაარსობრივ ნაწილში, თუმცა ამ ჩარევის კვალდაკვალ, არ ჩანს კონკრეტული შედეგები რას ემსახურება ის, გარდა იმისა, რომ შეიზღუდა გამოხატვის თავისუფლება. ეს რეგულაციები მიიჩნევა, როგორც არასრულყოფილი და ზოგიერთ შემთხვევაში მოძველებული. თუ როგორ იქნას დაცული პლურალიზმი, ადამიანის უფლებები, მედიის თავისუფლება და სხვა ფუნდამენტური საკითხები, ამის მისაგნებად საჭიროა უფრო სიღრმისეული რეფორმა და დირექტივების საფუძვლიანი გადახედვა. ამ მხრივ, ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომ ევროკავშირმა ბევრი პრინციპული საკითხი სამსჯელოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ან/და ეროვნულ სასამართლოებს დაუტოვოს (Brogi and Parcu 2014).

2015 წელს ევროპის კომუნიკაციების ქსელმა 14 ევროპული ქვეყნის ჟურნალისტების გამოკითხვა ჩაატარა. კვლევის მიზანი იყო ჟურნალისტების შეხედულებების გამოვლენა მედიის

¹⁷ აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ ევროდირექტივა - 2010/13/EU დირექტივა

თავისუფლებასა და პასუხისმგებლობის შესახებ და მათი განწყობის დადგენა რეგულირების როგორი ფორმა შეიძლება იყოს მისაღები. კვლევის შედეგების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებს ხშირ შემთხვევაში ეჭვი ეპარებათ თვითრეგულირების სისტემების ეფექტურობაში, მაინც მიიჩნევენ, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, თუ როგორ მოხდეს თვითრეგულირება და როგორ გახდეს ის უფრო ეფექტური, ერთი რამ ცალსახად გამოჩნდა - მათ უმრავლესობას არ სურს სახელმწიფოს ჩარევა ამ სფეროში და მიიჩნევენ, რომ მსგავსი ფორმალური სისტემები წარმოადგენს პოლიტიკური ზეწოლის იარაღს მედიაზე. კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ მედია ინდუსტრიის წარმომადგენლების იძულება ან სანქცირება ნაკლებ ეფექტურია და უკეთესი გზა პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის წახალისებაა, არა დასჯის, არამედ დაჯილდოების გზით. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ჯილდო შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური და მაგალითად მოჰყავთ ირლანდიის პრესის საბჭო რომლის წევრობაც გარკვეულ პრივილეგიებთან ასოცირდება მედია კომპანიისთვის. მსგავსი მექანიზმები უფრო მეტად უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლების დაცვას და, ამავდროულად, მედიის პასუხისმგებლობის ზრდას. ამასთან, მსგავსი მოდელი არ გამოიწვევს მედია ინდუსტრიის წარმომადგენელთა შიშს სამთავრობო ჩარევებისადმი (Eberwein and other 2015).

საქართველო - კანონპროექტის მიზანი, ევროდირექტივასთან შესაბამისობა და

არსებული საფრთხეები

კანონპროექტის განმარტებით ბარათში საქართველოს კომუნიკაციების კომისია განმარტავს, რომ ცვლილებების მთავარი მიზანი არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის 2010/23/EU დირექტივასთან (აუდიოვიზუალური მომსახურების შესახებ). უშუალოდ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, კომისია წერს, რომ შემოთავაზებული ცვლილება ეყრდნობა აღნიშნული ევროდირექტივის მე-6 მუხლს, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფოები შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფენ, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მედია მომსახურების მიმწოდებელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ შეიცავდეს რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური ან ეროვნული ნიშნით შუღლის გაღვივებას. ასევე, ამავე დირექტივის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის c ქვეპუნქტის თანახმად, აუდიოვიზუალური კომერციული კომუნიკაციები (იგულისხმება რეკლამა) არ უნდა იყოს ადამიანის ღირსების შემლახველი, არ უნდა შეიცავდეს ან აქეზებდეს ნებისმიერი სახის

დისკრიმინაციას სქესის, რასის ან ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რელიგიის ან რწმენის, შეზღუდული უნარის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. კომუნიკაციების კომისიის განმარტებით, ზემოაღნიშნული დარღვევები დღესაც აკრძალულია, თუმცა მოქცეულია მხოლოდ თვითრეგულირების სფეროში, რადგან მსგავსი სახის დარღვევები შესაძლოა გასაჩივრდეს მხოლოდ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოში და არა კომისიაში ან სასამართლოში. აღნიშნული კი, ვერ უზრუნველყოფს კანონის ეფექტიან აღსრულებას.

კომისია ასევე წერს, რომ იმავე დირექტივის სადეკლარაციო ნაწილის 44-ე პუნქტის თანახმად, თვითრეგულირების მექანიზმი შესაძლოა წარმოადგენდეს დირექტივის აღსრულების დამატებით საშუალებას, მაგრამ ის ვერ ჩაანაცვლებს სახელმწიფოს ვალდებულებებს, რომელიც დირექტივიდან გამომდინარეობს და თვითრეგულირების მექანიზმის არსებობის პირობებშიც კი, უნდა არსებობდეს სახელმწიფო ჩარევის შესაძლებლობა, თუკი დირექტივის მიზნები არ არის მიღწეული. ამდენად, კომუნიკაციების კომისიის პოზიციით, დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს კომისიაში ან სასამართლოში.

როგორც კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ჩანს, ცვლილებების ერთადერთი მიზანი (მინიმუმ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით) არის ქართული კანონმდებლობის ევროდირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა. ამის მიუხედავად, ჩვენ კომუნიკაციების კომისიას მივმართეთ შემდეგი კითხვით: „ნებისმიერი რეგულაცია უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული პრობლემიდან, რომლის გადაჭრაც აუცილებელია. დღეს, ქართულ სამაუწყებლო სივრცეში სიძულვილის ენის პრობლემა ისე დგას, რომ ეს რეგულაციაა საჭირო? თუ შეგიძლიათ, დაასახელოთ მაგალითები უახლოესი წარსულიდან, ასევე სხვა დამატებითი არგუმენტები, რაც პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს. თუ მხოლოდ იმიტომ ხდება აღნიშნული რეგულაციების მიღება, რომ ამას, კომისიის შეფასებით, ევროკავშირის დირექტივა გვავალდებულებს?“ მარეგულირებლისგან მიღებულ წერილში ცვლილებების მიზნად კვლავ ხაზგასმულია ევროდირექტივასთან შესაბამისობა და არა რაიმე სხვა, კონკრეტული პრობლემური შემთხვევები მედიაპრაქტიკიდან, რამაც კომისიას ამ კანონპროექტის ინიცირება აიძულა.

კომისიის ცნობით, „ის ფაქტი, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მიხედვით, მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები არ საჩივრდება არსად, ევროკომისიის დაფინანსებით მოწვეული

ექსპერტების დასკვნით, შეუსაბამობაშია ევრო დირექტივასთან. ის კანონში ცვლილებებს საჭიროებს და ექსპერტების მიერ კომისიისთვის შემოთავაზებული იყო სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხების თვითრეგულირებიდან მთლიანად ამოღება და მისი სრულად კომისიისათვის დაქვემდებარება“.

თუმცა, კომისია აღნიშნავს, რომ „საქართველოში მოქმედი მაუწყებლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უკუკავშირის გათვალისწინებით (რომელიც სიძულვილის ენის რეგულირების მიმართ მკვეთრად ნეგატიურია), ასევე თავად თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მან გადაწყვიტა სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა დაეტოვებინა თვითრეგულირების მექანიზმისთვის“, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იქნება კომისიაში ან სასამართლოში, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია.

სწორედ აქ ჩნდება წინააღმდეგობა კომისიის პოზიციასა და საქართველოში მოქმედ მაუწყებლებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. მარეგულირებელი მისი მხრიდან კომპრომისად მიიჩნევს იმას, რომ გასაჩივრების პირველ ეტაპს კვლავ მაუწყებელთა თვითრეგულირებაში ტოვებს, თუმცა, მაუწყებლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს აღნიშნული ვარიანტიც მიაჩნიათ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებად. მათი პოზიციით, თუკი თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემდეგ მარეგულირებელ კომისიაში გასაჩივრდება და სწორედ ის გადაწყვეტს მოხდა თუ-არა დარღვევა, ეს ვერანაირად ვერ ჩაითვლება თვითრეგულირებად და პირველ ეტაპზე თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასაც გარკვეულწილად აზრი ეკარგება.

განვიხილოთ მარეგულირებელი კომისიის არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ 56-ე მუხლში არსებული დარღვევების და კონკრეტულად სიძულვილის ენის კომისიაში ან სასამართლოში გასაჩივრებას აუცილებლად მოითხოვს ევროდირექტივა. დირექტივიდან გამომდინარე, კომისიის არგუმენტი ეფუძნება მისი სადეკლარაციო ნაწილის 44-ე მუხლს. კომისია აცხადებს, რომ „თვითრეგულირების მექანიზმი შესაძლებელია წარმოადგენდეს აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროპული დირექტივის აღსრულების დამატებით საშუალებას, მაგრამ თვითრეგულირების მექანიზმის არსებობა ვერ ჩაანაცვლებს სახელმწიფოს ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს აღნიშნული ევროდირექტივიდან“. 44-ე მუხლში წერია, რომ „დირექტივის ცალკეული ქვეყნების

კანონმდებლობაში გადატანა უნდა მოხდეს ფრთხილი ანალიზის საფუძველზე, უნდა განისაზღვროს, თუ რომელი მექანიზმია უმჯობესი ამა თუ იმ სექტორისა და პრობლემის დასარეგულირებლად. ასევე, უნდა მოხდეს განსაზღვრა, რომელი ალტერნატივაა უმჯობესი სხვადასხვა სექტორში, თანარეგულირება თუ თვითრეგულირება. ამასთან, როგორც გამოცდილება აჩვენებს, თანარეგულირებისა და თვითრეგულირების ინსტრუმენტები, გამოყენებული კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციების შესაბამისად, შესაძლოა იყოს საკმაოდ ეფექტური და უზრუნველყოს მომხმარებელთა დაცვის მაღალი ხარისხი. აუდიოვიზუალურ მედია სექტორში შემუშავებული მექანიზმები უფრო ეფექტურნი არიან ისეთ შემთხვევებში, როცა ისინი მხარდაჭერილი და ფართოდ მიღებულია თავად სერვისის მიმწოდებელთა მიერ. ამდენად, თვითრეგულირება წარმოადგენს ერთგვარ მოხალისეობრივ ინიციატივას, რაც საშუალებას აძლევს ეკონომიკურ მოთამაშეებს, სოციალურ პარტნიორებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ასოციაციებს, შეთანხმდნენ საერთო გაიდლაინებზე ერთმანეთში და ერთმანეთისთვის.

დირექტივის თანახმად, „წევრი სახელმწიფოები, მათი განსხვავებული სამართლებრივი მექანიზმების მიხედვით, აღიარებენ თვითრეგულირების როლს, როგორც ერთგვარი დანამატისა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ მექანიზმებზე და მათ სასარგებლო კონტრიბუციას დირექტივის მიზნების შესრულებაში. თუმცა, თვითრეგულირება შეიძლება იყოს ერთგვარი დამატებითი მეთოდი იმ კონკრეტული დებულებების განხორციელებაში, რასაც დირექტივა ითვალისწინებს. ამასთან თვითრეგულირება არ უნდა იყოს ჩამნაცვლებელი ეროვნული კანონმდებლის ვალდებულებებისა. თანარეგულირება, მისი მინიმალური ფორმით, იძლევა კავშირს თვითრეგულირების მექანიზმებსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის, წევრი ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით. თანარეგულირებამ სახელმწიფოს უნდა მისცეს ჩარევის შესაძლებლობა ისეთ შემთხვევებში, როცა გარკვეული მიზნები არ სრულდება. წევრი სახელმწიფოებისთვის ფორმალური ვალდებულებების დაკისრების გარეშე (მათ კანონმდებლობაში დირექტივების მოთხოვნათა გადატანისას) ეს დირექტივა მოუწოდებს მათ თანარეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების გამოყენების შესახებ. ასევე, ეს არ ავალდებულებს სახელმწიფოებს რომ დააწესონ თანარეგულირების ან/და თვითრეგულირების რეჟიმები ან დაარდვიონ არსებული თანარეგულირებისა თუ თვითრეგულირების ინიციატივები, რომლებიც უკვე არსებობენ და ეფექტიანად მუშაობენ“.

როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, არსად არ გვხვდება ცალსახა მოწოდება, რომ ღირეუტივა გვავალდებულებს მისი მოთხოვნების, ამ შემთხვევაში კონკრეტულად სიძულვილის ენის საკითხის ახლებურად რეგულირებას. მეტიც, ეს ჩანაწერი პირდაპირ აძლევს სახელმწიფოს დისკრეციას, არ შეცვალონ არსებული სისტემები თუ ისინი ეფექტურად მუშაობენ. ამდენად, გაუგებარია კომუნიკაციების კომისიის პოზიცია, თითქოს, აღნიშნული ღირეუტივა რაიმე ვალდებულებას უწესებს საქართველოს და ამის გამო საჭიროა სიძულვილის ენის არსებული თვითრეგულირების მექანიზმის შეცვლა/განახლება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ევროდირექტივის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აუცილებელია, რომ მსგავსი სახის გადაწყვეტილებების მიღებისას არსებობდეს დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსენსუსი, რაც ამ შემთხვევაში არ გვაქვს. მაუწყებლები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე ჟურნალისტთა პროფესიული გაერთიანება (ეთიკის ქარტია) კატეგორიულად ეწინააღმდეგება საკითხის მსგავსად რეგულირებას.

ამასთან, როცა არსებული სისტემის არაეფექტურობაზე ვსაუბრობთ და ვამბობთ, რომ საზოგადოება დაუცველია სიძულვილის გაღვივების შემთხვევებისგან, აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ ევროდირექტივის მე-6 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, გარკვეულწილად, რეგულირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239 პრიმა მუხლით - ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდება. „1. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე. 2. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით“. როგორც ვხედავთ, მყისიერი ძალადობის საფრთხის შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოს უკვე აქვს ბერკეტი აღკვეთოს ის.

არსებული კანონმდებლობის ევროდირექტივებთან შესაბამისობის კუთხით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტორი - კომისიის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს

(კონკრეტულად სიძულვილის ენის დარღვევებზე სასამართლოში ან კომისიაში გასაჩივრების უფლებას) მაუწყებლების, ეთიკის ქარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მოჰყვა მწვავე კრიტიკა. რადგან ამ თემაზე შეთანხმება ვერ შედგა, კომუნიკაციების კომისიამ საკითხის დასაზუსტებლად გააგზავნა წერილი ევროპულ კომისიაში შემდეგი კითხვით: იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა სიძულვილის ენის სრულად თვითრეგულირებაში დატოვება, სასამართლოში ან კომისიაში გასაჩივრების მექანიზმის გარეშე, ხომ არ შეეწინააღმდეგებოდა ეს ევროდირექტივას. ევროპულ კომისიასთან თვეების კომუნიკაციის შემდეგ ჩამოყალიბდა მათი ოფიციალური პასუხი, რომლის შინაარსი ასეთია, რომ ევროდირექტივების ადგილობრივ კანონმდებლობაში გადატანის ერთიანი ფორმულა არ არსებობს და საბოლოო გადაწყვეტილება მაინც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყანაზე. ამასთან, არც ისაა აღნიშნული, რომ სიძულვილის ენის თვითრეგულირებაში დატოვება წინააღმდეგობაში მოვა ევროდირექტივასთან. ამასთან ნათქვამია, რომ ესა თუ ის რეგულაცია ფართოდ მხარდაჭერილი უნდა იყოს იმ მოთამაშეებისგან ვისაც ის ეხება. ნებისმიერი ახალი რეგულაცია შეიძლება წააწყდეს წინააღმდეგობას მათი მხრიდან ვისაც ეს ეხებათ, ამიტომ, ის უნდა იყოს ფრთხილად განხორციელებული და შეიძლება ამოქმედდეს ეტაპობრივად. ეს დაეხმარებათ მათ განსაზღვრონ და შეაფასონ საკუთარი როლები ამ პროცესში.

ამდენად, როგორც ვხედავთ, არც ევროპულმა კომისიამ ურჩია ცალსახად ამა თუ იმ რეგულაციის მიღება საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელს. მეტიც, მიმოწერიდან ჩანს, რომ ეს საკითხი საერთოდ არ იქნებოდა ევროპული კომისიის მხრიდან როგორც გადამწყვეტი ფაქტორი იმის შეფასებისას, შესრულდა თუ-არა ევროდირექტივა. საკითხის გადაწყვეტა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაეკისრა უშუალოდ ქვეყანას, როგორც ეს ხშირად ხდება ევროდირექტივების თანახმად. ამის შემდეგ, ვერ მიიღეს რა ევროპული კომისიისგან ცალსახა რეკომენდაცია, კომუნიკაციების კომისიის განცხადებები გარკვეულწილად შეიცვალა, თუ ისინი აღრე ამბობდნენ, რომ დაგეგმილი ცვლილებები იქნება თანარეგულირება, ახლა აცხადებენ, რომ საკითხი რჩება თვითრეგულირებაში და არ სცდება მის ფარგლებს, მაგრამ იმ დროს, როცა საკითხის გასაჩივრება შეიძლება ადმინისტრაციულ ორგანოში, რთული დასამტკიცებელია, რომ ეს არის თვითრეგულირება და არა რეგულირება.

ამ ყოველივეს ფონზე, რჩება განცდა, რომ კომისიის მიზანი არის სიძულვილის ენის დარეგულირება და არა კანონმდებლობის ევროდირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა. ზემოაღნიშნულ დარღვევებზე დაგეგმილი რეგულირების შემოტანამ კი, შესაძლოა, პრობლემა შეუქმნას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მსგავსი ტიპის

დარღვევების დადგენა - სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და კონკრეტული ჯგუფის უფლებების დარღვევას შორის, არის ყოველთვის რთული განსასაზღვრე, მით უმეტეს, რომ არ არსებობს სიძულვილის ენის ცალსახა განმარტება. ეს ბუნდოვანება შესაძლებელია ბოროტად იქნას გამოყენებული ნებისმიერი ხელისუფლების მიერ, რაც საქართველოს მსგავს სუსტი/არაკონსოლიდირებული დემოკრატიის პირობებში, კიდევ უფრო საშიშია.¹⁸

დასკვნა

გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უფლებაა, რომელიც თავის მხრივ, გვევლინება ადამიანის სხვა უფლებების დაცვის გარანტიად. ნებისმიერი რეგულაცია, როგორც კეთილ მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ის, უდიდესი სიფრთხილით უნდა იყოს მიღებული, რათა მეორე მხარეს, არ დაზიანდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. სიძულვილის ენის რეგულირებაზე მსჯელობისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეორე მხარეს დევს გამოხატვის თავისუფლება. როდესაც ვსაუბრობთ მედიის რეგულირებაზე, სწორედ, გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენის რეგულირებას შორის არსებულ ბუნდოვან ზღვარზე დავდივართ, შესაბამისად, თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც ამ საკითხებზე მიიღება, კარგად გააზრებული, საზოგადოდ შეჯერებული და ბევრი პოზიტიური თუ ნეგატიური პრაქტიკის გათვალისწინებით უნდა იქნეს მიღებული.

კომუნიკაციების კომისიის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ტელე და რადიო მაუწყებლობის თვითრეგულირების მნიშვნელოვანი ასპექტი - სიძულვილის ენა - რეგულირების ნაწილში გადაჰყავს. კომისიის პოზიციით, კანონპროექტი კვლავ მედია თვითრეგულირებას ემყარება, თუმცა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ საჩივრები ადმინისტრაციულ ორგანოში განიხილება, ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, ეჭვის ქვეშ აყენებს და აჩენს განცდას, რომ ხელისუფლების მხრიდან მედია საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევა მოხდება. ჩვენ მიერ შესწავლილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ მედია რეგულირების სახიფათო ტენდენცია, ხშირად

¹⁸ ანალიტიკური დოკუმენტის აღნიშნული ნაწილი მომზადდა, მათ შორის, სფეროს ექსპერტებთან, კერძოდ, მარიამ გოგოსაშვილთან („ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ დირექტორი); ნატა ძველიშვილთან (ჟურნალ „ინდიგოს“ მთავარი რედაქტორი); ხატია ჯინჯიხაძესთან („ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს“ მედიის მიმართულების მენეჯერი) და მამუკა ანდლულაძესთან („საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პროგრამის მენეჯერი) სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე. დოკუმენტის ავტორები მადლობას უხდებიან ექსპერტებს კვლევაში მონაწილეობისა და პოზიციების დაფიქსირებისთვის.

გარდაიქმნება ხოლმე მედიის თვითცენზურად ან/და ხელისუფლების მხრიდან ცენზურად, რაც თავის მხრივ, ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

კომუნიკაციების კომისიის ძირითადი არგუმენტია, რომ ის ცდილობს საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ევროდირექტივით არსებულ მოთხოვნებთან, თუმცა დირექტივის ანალიზი აჩვენებს, რომ ის არ გვავალდებულებს კონკრეტულად სიძულვილის ენის საკითხის ახლებურად რეგულირებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავად დირექტივა ევროპაში ფართო დებატების საგანია და გარკვეულ შემთხვევებში, მოძველებულ რეგულაციად მიიჩნევა, რომელიც ერევა მედიის ტექნიკურ, ფინანსურ და შინაარსობრივ ნაწილში. ამ ჩარევის კვალდაკვალ კი, არ ჩანს კონკრეტული შედეგები რას ემსახურება ის, გარდა იმისა, რომ ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

როცა ვსაუბრობთ, სიძულვილის ენის აღმოფხვრაზე, მედია ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფაზე, ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვაზე მედიის გაუმართლებელი ჩარევისგან, ამისათვის კონკრეტული ადამიანის მიერ წამოწყებული ბრძოლაც საკმარისია იმ ქვეყანაში, სადაც სასამართლო გამართულად ფუნქციონირებს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს არა ახალი მედია რეგულაციის შემოღება, არამედ გამართული სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა, სადაც თითოეული მოქალაქე შეძლებს საკუთარი ინტერესების დაცვას. და ბოლოს, ხელისუფლების მიერ დეზინფორმაციის პრობლემისა და სიძულვილის ენის გაუცნობიერებელი თუ მიზანმიმართული აღრევის მცდელობა (რომლის გამოსავლადაც ის რეგულირებას მიიჩნევს), აღრმავებს ეჭვს, რომ რეგულაციები კრიტიკული მედიის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

გამოყენებული ლიტერატურა

CIVIL.GE. 2019. FACEBOOK-ის მიერ ხელისუფლებასთან დაკავშირებული გვერდების წაშლას პოლიტიკოსები ეხმაურებიან. ხელმისაწვდომია: [HTTPS://CIVIL.GE/KA/ARCHIVES/332619](https://civil.ge/ka/archives/332619) (15. 02. 2020).

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE (GDI). 2014. *სიძულვილის ენა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის)*. [WWW.GDI.GE](http://www.gdi.ge)

ირაკლი კობახიძე. 2019. განცხადება დეზინფორმაციის გავრცელებაზე. ხელმისაწვდომია: [HTTP://WWW.TABULA.GE/GE/STORY/162233-KOBAXIDZE-DEZINFORMACIIS-GAVRCELEBAZE-PARLAMENTSHI-KANONI-GVAQVS-INICIREBULI](http://www.tabula.ge/ge/story/162233-KOBAXIDZE-DEZINFORMACIIS-GAVRCELEBAZE-PARLAMENTSHI-KANONI-GVAQVS-INICIREBULI) (23. 03. 2020).

მენდელი, ტობი. 2012. გამოხატვის თავისუფლება. *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განმარტებასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებული გზამკვლევი*. თბილისი.

საქართველოს პარლამენტი. 2018. კანონის პროექტი: „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ხელმისაწვდომია: [HTTPS://INFO.PARLIAMENT.GE/FILE/1/BILLREVIEWCONTENT/210867?](https://info.parliament.ge/file/1/billreviewcontent/210867?) (12. 03. 2020).

საქართველოს პარლამენტი. 2019. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: [HTTPS://WWW.MATSNE.GOV.GE/KA/DOCUMENT/VIEW/32866?PUBLICATION=54](https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=54) (11.03.2020)

Barendt, Eric. 2019. What Is the Harm of Hate Speech? *Ethical Theory and Moral Practice* 22, 539–553. Via URL: <https://www.springer.com/journal/10677>.

Bell, Tom. W. 2005. Treason, Technology, and Freedom of Expression. *Arizona State Law Journal* , Vol. 37 No. 999 (Winter): 1-23.

Brogi, Elda and Pier Luige Parcu. 2014. Evolving regulation for media freedom and pluralism in the European Union. *Utilities Policy* 31, 256-265.

Compact-media.eu. Challenges of Media Self- and Co-regulation, 2017. Compact. <http://compact-media.eu/wp-content/uploads/2019/05/PP-3.6-Challenges-Self-Co-Regulation-2.pdf> (11.03.2020).

Cormack, Tracey. 2019. Freedom of speech vs Hate speech. *New Zealand Law Society*. Via URL: <https://www.lawsociety.org.nz/practice-resources/practice-areas/human-rights/freedom-of-speech-vs-hate-speech> (12. 03. 2020).

Council of Europe. 2014. The Alarming Situation of Press Freedom in Europe. Via URL: <https://www.coe.int/it/web/commissioner/-/the-alarming-situation-of-press-freedom-in-europe?inheritRedirect=true> (18.05. 2020).

Council of Europe. 2019. Democracy at risk: Threats and attacks against media freedom in Europe. Via URL: <https://rm.coe.int/annual-report-2018-democracy-in-danger-threats-and-attacks-media-freed/1680926453> (18. 05. 2020).

Die Welt. 2019. Mehrheit der Deutschen äußert sich in der Öffentlichkeit nur vorsichtig. Via URL: <https://www.welt.de/politik/article193977845/Deutsche-sehen-Meinungsfreiheit-in-der-Oeffentlichkeit-eingeschraenkt.html> (16. 03. 2020).

Directive 2010/13/EU of the European Parliament and of the Council of 10 March 2010 on the coordination of certain provisions laid down by law, regulation or administrative action in Member States concerning the provision of audiovisual media services (Audiovisual Media Services Directive) (Text with EEA relevance). Via URL: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32010L0013&fbclid=IwAR0I2awPBldiscv6tUbUghYMwwwmanUq9p3liuHWctSc38g5SweNIU5JvLEg> (21. 07. 2020).

Eberwein, Tobias, Dobek-Ostrowska, Boguslawa, Baisnee, Oliver and Harmen Groenhardt. 2015. How effective is media self-regulation? Results from a comparative survey of European journalists. European Journal of Communication. Via URL: https://www.researchgate.net/profile/Epp_Lauk/publication/273314850_How_effective_is_media_self-regulation_Results_from_a_comparative_survey_of_European_journalists/links/5650407f08aeafc2aab63b84.pdf (16. 06. 2020).

Favret, Rebecca. 2013. Back to the Bad Old Days: President Putin's Hold on Free Speech in the Russian Federation, 12 Rich. J. Global L. & Bus. 299. Via URL: <https://scholarship.richmond.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://scholar.google.com/&httpsredir=1&article=1168&context=global>.

Finkelstein, Ray, and Rodney Tiffen. 2015. When does press self-regulation work? Melbourne University law review 38, 944-967. Via URL: https://www.researchgate.net/publication/283831206_When_does_press_self-regulation_work.

Goodman, Ellen. 2006. Media Policy and Free Speech: The First Amendment at War with Itself. 35 Hofstra L. Rev. 1211.

GrantThornton. 2017. Gap analysis and legislative action plan – Audiovisual media service directive.

Hemmer, Joseph J. 1995. Hate speech - the egalitarian/libertarian dilemma. *The Howard journal of Communications*, Vol. 5, No. 4 (Summer): 307-330.

Hulin, Adeline. 2014. Statutory media self-regulation: beneficial or detrimental for media freedom? *European University Institute Robert Schuman Centre for Advanced Studies Centre for Media Pluralism and Media Freedom*. Via URL: https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/34047/RSCAS_WP_2014_127.pdf?sequence=1&isAllowed=y.

Jansen, Yakaré-Oulé (Nani). 2014. Denying Genocide or Denying Free Speech? A Case Study of the Application of Rwanda's Genocide Denial Laws. *Int'l Hum. Rts.* 191. Via URL: <https://scholarlycommons.law.northwestern.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1172&context=njihr>.

Kent, Tom. 2015. Regulation? What's the minimum needed? *Ethical Journalism Network*. Via URL: <https://ethicaljournalismnetwork.org/regulation-it-s-a-question-best-answered-by-journalists-and-media> (15. 04. 2020).

Maynard, Jonathan and Benesch, Susan. 2016. Dangerous Speech and Dangerous Ideology: An Integrated Model for Monitoring and Prevention. *Genocide Studies and Prevention: An International Journal* 9, No.3: 70-95.

Mchangama, Jacob. 2019. The U.N. Hates Hate Speech More Than It Loves Free Speech. *Foreign Policy* . Via URL: <https://foreignpolicy.com/2019/02/28/the-u-n-hates-hate-speech-more-than-it-loves-free-speech/>.

Mendel, Toby, Momani, Nahla, Ewedah, Bassam and Sarah Bouchetob. 2018. Addressing Hate Speech and Racism in the Media in the Southern Mediterranean: A Review of formal and Informal Regulatory Approaches. Via URL: <https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2018-05/MedMedia%20Hate%20speech%20report.pdf>.

Narrain, Siddharth. 2018. Social Media, Violence and the Law: “Objectionable Material” and the Changing Contours of Hate Speech Regulation in India. *Culture Unbound*, Vol. 10, No. 3 388–404.

Pen-International. 2019. Russia: New laws threaten freedom of expression and media freedom. Via URL: <https://pen-international.org/news/russia-new-laws-threaten-freedom-of-expression-and-media-freedom>.

Puddephatt, Andrew. 2011. The Importance of Self Regulation of the Media in upholding freedom of expression. *UNESCO CI Debates* No. 9 (February): 2176-3224.

Quiñones, Alicia. 2018. Acts of Resistance: Literature, Journalism and Censorship in Venezuela. Report is the result of a mission conducted by PEN International in Venezuela between February-March 2018, as well as interviews with writers, journalists and other stakeholders. Via URL: <https://pen-international.org/app/uploads/PEN-Venezuela-Report-ENG-9-18-Proof2.pdf>.

Seglow, Jonathan. 2016. Hate Speech, Dignity and Self-Respect. *Ethical Theory and Moral Practice*, Vol. 19, No. 5, Special Issue: Frontiers of Dignity: its Nature and Scope (November), 1103-1116.

Shehadeh, Raneem. 2019. Do We Draw a Line Between Freedom of Speech and Hate Speech in American Law? Undergraduate Law Journal. Via URL: https://journals.flvc.org/FAU_UndergraduateLawJournal/article/view/112468.

Slavtcheva-Petkova, V. 2017. Fighting Putin and the Kremlin's grip in neo-authoritarian Russia: the experience of liberal journalists. *Journalism*, 20(11), 1530–1546. Via URL: https://chesterrep.openrepository.com/bitstream/handle/10034/620489/Institutional%20repository%20Journalism_paper_resubmitted_10042017.pdf?sequence=5&isAllowed=y.

Turley, Jonathan. 2019. No, the U.S. does not need European style hate speech laws. *USA Today*. Via URL: <https://www.usatoday.com/story/opinion/2019/11/08/no-us-not-need-european-style-hate-speech-laws-column/4157833002/> (16. 03. 2020).

Waldron, Jeremy. 2012. *The Harm in hate speech*. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

Wulff, Christian. 2007. Violence and mass media: Are laws and regulations effective? *International Journal of Hygiene and Environmental Health* 210: 547-550.

Zurovac, Ljiljana. 2018. The role of the media self-regulatory mechanisms. Via URL: <https://rm.coe.int/panel3-2-zurovac-the-role-of-the-media-self-regulatory-mechanisms/16808ee63f>.

სიდრმისეული ინტერვიუები: მარიამ გოგოსაშვილთან („ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ დირექტორი); ნატა ძველიშვილთან (ჟურნალ „ინდიგოს“ მთავარი რედაქტორი); ხატია ჯინჯიხაძესთან („ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს“ მედიის მიმართულების მენეჯერი) და მამუკა ანდლულაძესთან („საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პროგრამის მენეჯერი).